შ.პ.ს. "კონსტუდიო"

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ბელიაშვილის ქ.№22 (ს.კ. 011302010059), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი 8[I]) კორექტირებული პროექტის **კონსტრუქციულ ნაწილზე**

თბილისი 2018

წინა პირობები:

შპს "დენმარკ ჰაუს"-ის დაკვეთით, ჩვენს მიერ დასადგენია აღნიშნულ მისამართზე მშენებარე სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზების და გაანგარიშებების ხარისხი, როგორც სამშენებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე შენობის კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობის და მედეგობის გრძელვადიანი ექსპლუატაციის პერსპექტივით.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია საპროექტო მასალები:

1. ინდმეწარმე „B&G"-ს მიერ 2017 წელს შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.
2. შპს "დენმარკ ჰაუს"-ის მიერ შესრულებული არქიტექტურული ნაწილის კორექტირებული პროექტის ვექტორული ფაილი.
3. "დენმარკ ჰაუს"-ის მიერ "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით მოდელირებული შენობის გაანგარიშების ელექტრონული ფაილი.
4. შპს "დენმარკ ჰაუს"-ის მიერ შესრულებული კონსტრუქციული ნაწილის მუშა დოკუმენტაციის ნახაზების ელექტრონული (pdf) ფაილები;

საერთო:

აღნიშნული მშენებარე ობიექტის კონსტრუქციული ნაწილის და მისი პირველი კორექტირების ექსპერტიზები ჩვენს მიერ შესრულებულია 2017 წელს. პროექტის მოცემული კორექტირება მხოლოდ არქიტექტურული ხასიათისაა და არ შეეხო შენობის მზიდ კონსსტრუქციულ ელემენტებს.

სამშენებლო უბნისთვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W_0=0.85 კპა; თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა.

შენობისთვის საძირკვლების ფუძედ მიღებულია კენჭნაროვანი გრუნტი - კაჭარ-კენჭნარი, წვრილი და საშუალო ფრაქციის, ლოდების იშვიათი ჩანართებით, ქვიშნარის შემავსებლით 20%-მდე (ფენა 3): $\varphi=43^0$; c=2.0 კპა; E=40 მპა. საძირკვლებად მიღებულია 110 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი ფილა. დასაფუძნებელ კენჭნაროვან გრუნტებს და საძირკვლის ფილის ძირს შორის ეწყობა 15-20 სმ-იან ფენებად დატკეპნილი მდინარის ბალასტი.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის სვეტების (700X700, 600X600, 500X500), დიაფრაგმების (b=200),

კოჭების (500X600h, 200X600h) და გადახურვის ფილების (h=200) კარკასულ-კავშირებიანი სივრცული სისტემით.

მზიდი კონსტრუქციებისთვის ბეტონის კლასი მიღებულია B30 და B25; სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასებია – AIII და AI.

ფუძე-საძირკვლების და კარკასულ-კავშირებიანი სისტემის ერთობლივი სივრცული მოდელირება და გაანგარიშება განხორციელებულია პროგრამული კომპლექსის "მონომახ-საპრ 2013"-ის გამოყენებით, სტანდარტული სპექტრული მეთოდით.

წარმოდგენილი საპროექტო მუშა დოკუმენტაცია შეესაბამება და აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს.

<u>დასკვნა:</u>

კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს რეკომენდაცია ეძლევა რეალიზაციისთვის.

ექსპერტი, ინჟინერიის დოქტორი, მდიშერ
შპს „კონსტუდიო"-ს დირექტორი წოწერია



თბილისი 18-05-2018